გადამწყვეტი სიტყვა მაღალმა ოსტატობამ თქვა

კიევი, ასკ-ს სტადიონი. 22 თებერვალი.

ასკ (კიევი) - “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:0).

ასკ: რადაევი, პეტრენკო, კოშკინი, ბუზნიკი (კოვალიოვი), დრაგუნოვი, სინელნიკი, მაკოვსკი, კიცაევი, იარემჩუკი, მუკომოლოვი, ნასტაშევსკი.

“დინამო”: ქანთარია, ჟიბა, ჭილაია (არზიანი), თევზაძე, ბარათაშვილი, კეტაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა (შენგელია), ჟვანია (ჟორჟიკაშვილი).

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

კიევის არმიელთა სტადიონის ყინულის (და არა თოვლის) საკმაოდ სქელი ფენით დაფარული მინდორი წითელი საღებავით მონიშნული ხაზებით მეტად უჩვეულო სანახავი იყო. ფეხბურთელებს ზუსტი მოქმედება კი არა, ფეხზე რიგიანად დგომაც უჭირდათ. გრძელი გადაცემები ხშირად უზუსტო იყო, ბურთის გაჩერება სურდა, ყოველ წუთს იქმნებოდა მოთამაშეთა დაშავების საშიშროება.

თბილისის “დინამოსთვის” კიეველებთან შეხვედრა სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი გახლდათ და ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობაც ენიჭებოდა. მოსამზადებელ პერიოდში გამართული მატჩებიდან დინამოელებმა 9 მოიგეს, ხოლო 2 ფრედ დაამთავრეს. ცხადია, ეს არითმეტიკა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, თუ სათასო შეხვედრა მარცხით დამთავრდებოდა. თამაშის წინ თბილისელები კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დადგნენ: შეუძლოდ შეიქმნა ჩივაძე, რომელიც მინდორზე არ გამოსულა.

მაგრამ “დინამომ” ჩინებულად გაართვა თავი დასახულ ამოცანას. ეს კარგად გამოჩნდა მატჩის პირველ ტაიმში, როცა მასპინძლები შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ და დაცვის ცენტრში სულაქველიძის შესანიშნავი თამაში რომ არა, თბილისელებს რამდენჯერმე გოლის საფრთხეც ელოდათ. ყინულის მოედანმა გააბათილა თბილისელების ტექნიკური თუ ტაქტიკური უპირატესობა, მაგრამ მათ მეორე ტაიმში არა მარტო გამოასწორეს მდგომარეობა, არამედ მთლიანად ხელთ იგდეს თამაშის სადავეები, რასაც მალე შედეგიც მოჰყვა: 65-ე წუთზე გუცაევის მოწოდებული კუთხური კარგად გამოიყენა კეტაშვილმა, ყველაზე მაღლა ახტა და თავური დარტყმით კარში გაგზავნა ბურთი. ექვსი წუთის შემდეგ კი მეტოქის საჯარიმოში შეჭრილი სვანაძე მცველებმა წააქციეს და შენგელიამ ზუსტად გაიტანა პენალტი - 2:0.

საბოლოოდ, გადამწყვეტი სიტყვა მაინც მაღალმა ოსტატობამ თქვა, თბილისელებმა ითამაშეს ენერგიულად, კოლექტიურად. აღსანიშნავია ყველა ფეხბურთელი კარგი ფიზიკური მომზადება.

დავით კაკაბაძე

(` ლელოს” სპეციალური კორესპონდენტი)

ლელო 23 იანვარი, 1984 წ.